საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული
პირი - აჭარის კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის

ბრძანება №

09/02/2024

MES 7 24 0001-08/10

,,სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ " აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 1 თებერვლის №01/03/4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის N46 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე–5 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

,,სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 1 თებერვლის №01/03/4 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საბჭოს შემადგენლობაში, პარიტეტის პრინციპის გათვალისწინებით, შეიძლება შედიოდნენ:
ა) აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2 (ორი) წარმომადგენელი (დარგის სპეციალისტი);
ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 1 (ერთი) წარმომადგენელი;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
დ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
ე) ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
ვ)კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის 1 (ერთი) წარმომადგენელი;
2. ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;
3.ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქალაქი ბათუმი, ლ.გუდიაშვილის ქ. N4) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ახვლედიანი ზაურ